ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

თ. თ. ადვოკატ ა. ბ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: კახაბერ წერეთელი

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

საჩივრის ავტორი: თ. თ.

წარმომადგენელი: ო. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.11.2011 წელი

საჩივრის რეგისტრაციის # 092/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ სიითი #

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 ეთიკის კომისიას მომართა თ. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ა. ბ.-სთან საადვოკატო მომსახურების თაობაზე ურთიერთობა დაიწყო დაახლოებით 3 წლის წინ. ადვოკატს უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები საქალაქო სასამართლოში საჯარო რეესტრის მონაცემის გასწორების თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მიწის ნაკვეთი შეცდომით გაფორმდა სხვა პირზე.

1.3 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებით, ადვოკატს 1840 ლარი გადაუხადა. ამჟამად ადვოკატი უარს ამბობს თანხის უკან დაბრუნებაზე.

1.4 თ. თ.-ის 2012 წლის იანვრით დათარიღებული განცხადების მიხედვით, მან თავდაპირველად ადვოკატ ა. ბ.-ს 600 ლარი გადაუხადა.

1.5 თ. თ.-ის განცხადებით, ადვოკატს მისთვის არ უჩვენებია საქმის მასალები და სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის არსებობის თაობაზე არ აყენებდა საქმის კურსში.

1.6 თ. თ.-ის განცხადებით, ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მასალებით, მას უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის, ზოგჯერ 100 ლარის ოდენობით, რის თაობაზეც ინფორმაცია არ გააჩნდა.

1.7 ეთიკის კომისიის 2012 წლის 7 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა, ო. ნ.-მ განმარტა, რომ ადვოკატი ა. ბ. პერიოდულად გამოართმევდა ხოლმე თანხას საჩივრის ავტორს. თ. თ.-ისთვის ცნობილი არ იყო, ადვოკატს თანხა საადვოკატო მომსახურებისათვის სჭირდებოდა თუ სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. საჩივრის ავტორმა იცოდა, რომ ხარვეზის შესავსებად სჭირდებოდა თანხა და ამ მიზნით გადასცემდა თანხას ადვოკატს, თუმცა, რას

ნიშნავდა ხარვეზი, ამის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობდა. საჩივრის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია არ გააჩნდა.

1.8 თ. თ.-ის 2012 წლის 14 მარტის განცხადების, მიხედვით, 2012 წლის 12 მარტს თ. თ.-სთან სახლში იმყოფებოდა მისი ყოფილი ადვოკატი ა. ბ.. გულით ავადმყოფ ქალს ევედრებოდა 1 თვეში ყველაფრის მოგვარებას, ოღონდ განცხადება გამოეთხოვა ეთიკის კომისიიდან. თ. თ. შევიდა ადვოკატის მდგომარეობაში, რასაც ძალიან ნანობს და იძულებული გახდა დაეწერა ისე, როგორც ადვოკატს სურდა. თ. თ.-ის განმარტებით, ა. ბ.-ის წინააღმდეგ შემოტანილი განცხადება ამჟამად უკან არ მიაქვს. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმის შემდგომი მართვა მთლიანად მინდობილი აქვს მის სიძეს ო. ნ.-ს და არა ადვოკატ ა. ბ.-ს, როგორც ამას თავად ადვოკატი აცხადებს. საჩივრის ავტორმა დაადასტურა საკუთარი ნება, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს შეუჩერდეს რწმუნებულება.

2. ადვოკატის ახსნა-განმარტება:

2.1 ადვოკატმა ეთიკის კომისიაში, 2011 წლის 15 ნოემბერს წარმოადგინა განცხადება საპროცესო კოლეგიის სხდომის გადადების თაობაზე 1 კვირის ვადით, მტკიცებულებების წარმოსადგენად საჭირო დროის მიცემის მიზეზით.

2.2 ადვოკატის განცხადებით, თ. თ. არ ავსებს სასამართლოს მიერ დადგენილ ხარვეზს და ადვოკატს სასამართლოდან ჩაბარდა განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, მან იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე, თუმცა, საჩივრის ავტორმა არ შეავსო ხარვეზი. ადვოკატის განცხადებით, იგი ეთიკის კომისიაში წარმოადგენს უფრო ვრცელ, არგუმენტირებულ ახსნა-განმარტებას და მტკიცებულებებს, რაც კლიენტის საჩივრის უსაფუძვლობას დაადასტურებს.

2.3 ადვოკატმა ა. ბ.-ის მიერ 2011 წლის 24 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგენილი დამატებითი ახსნა-განმარტების მიხედვით, მას თ. თ.-მ მიმართა სამართლებრივი დახმარებისათვის და გადასცა შესაბამისი დოკუმენტები. ადვოკატმა შეადგინა სარჩელი სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, თუმცა, საჩივრის ავტორი არ ავსებდა სასამართლოს მიერ დადგენილ ხარვეზს.

2.4 ადვოკატ ა. ბ.-ის განმარტებით, საჩივარი არ არის შედგენილი და ხელმოწერილი თ. თ.-ის მიერ, შესაბამისად, იშუამდგომლა კომისიის წინაშე სხდომაზე თავად საჩივრის ავტორის მოწვევის თაობაზე.

2.5 ადვოკატის განცხადებით, ის დღესაც მზადაა ემსახუროს თ. თ.-ს და საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან საადვოკატო მომსახურებაში საჩივრის ავტორს 150 ლარი გამოართვა ხელზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2011 წლის 2 დეკემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე” პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი და მე-6 ნაწილი.

3.3 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სარჩელის ან განცხადების სასამართლოში წარდგენა ხარვეზის ვადის გაგრძელების თაობაზე, მაშინ როდესაც სასამართლომ საბოლოოდ უარი განაცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე დადგენილ საპროცესო ვადაში ხარვეზის არმოუფხვრელობის გამო და საქმე არ განიხილა.

3.4 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატს უნდა განეხორციელებინა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოქმედება იმისათვის, რომ წარდგენილი სარჩელები სასამართლოს წარმოებაში მიეღო. კერძოდ, ადვოკატს რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა შეევსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზები, გაესაჩივრებინა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე განჩინება.

3.5 ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და კვალიფიციურად განახორციელოს წარმომადგენლობა. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ მიაწვდის და სათანადოდ არ განუმარტავს კლიენტს კანონით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტისათვის საზიანო სამართლებრივი შედეგის დადგომა.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა რა “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების 36-ე მუხლით, 2012 წლის 7 მარტის

გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი ა. ბ. წარმოადგენდა თ. თ.-ის ინტერესებს სასამართლოში საქმის წარმოებისას საჯარო რეესტრის მონაცემების გასწორების თაობაზე, უძრავი ქონების საჩივრის ავტორის სახელზე აღრიცხვის მიზნით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2010 წლის 18 მარტის რწმუნებულება, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის # 100239958, ნოტარიუსი ქეთევან გამისონია
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებები: 2011 წლის 19 სექტემბერი, 2009 წლის 8 დეკემბერი, 2010 წლის 7 ივნისი, 2011 წლის 29 აპრილი;
3. თ. თ.-ის 2011 წლის 2 ნოემბრის საჩივარი, საქმის ფურცელი 3
4. თ. თ.-ის ახსნა-განმარტება, 2012 წლის იანვარი, საქმის ფურცელი 157-158
5. ა. ბ.-ის ახსნა-განმარტება, 2011 წლის 15 და 24 ნოემბრი, საქმის ფურცელი 20, 35-36.

5.1.2 ადვოკატმა ა. ბ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა არაერთი სარჩელი: 2009 წლის 3 ივნისს - სოფელ დიღმის საკრებულოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, 2009 წლის 27 ივლისს - მოპასუხე ე. თ.-ის უკანონო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთის გამოთხოვის თაობაზე, 2010 წლის 4 თებერვალს - უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე, 2010 წლის 21 ივლისს - უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე, 2011 წლის 31 მარტს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2009 წლის 3 ივნისის სარჩელის ასლი
2. 2009 წლის 27 ივლისის სარჩელის ასლი
3. 2010 წლის 2 თებერვლის სარჩელის ასლი, 2010 წლის 9 თებერვლის განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე
4. 2010 წლის 26 ივლისის განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე

5. 2011 წლის 29 აპრილის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე

5.1.3 2009 წლის 3 ივნისს წარდგენილ სარჩელზე - 2009 წლის 5 ივნისს; 2009 წლის 27 ივლისს წარდგენილ სარჩელზე - 2009 წლის 30 ივლისს; 2010 წლის 4 თებერვალს წარდგენილ სარჩელზე - 2010 წლის 9 თებერვლის; 2010 წლის 21 ივლისს წარდგენილ სარჩელზე - 2010 წლის 26 ივლისს; 2011 წლის 31 მარტს წარდგენილ სარჩელზე - 2011 წლის 4 აპრილს განჩინებებით თბილისის საქალაქო სასამართლომ ხარვეზი დაადგინა. სასამართლოს განჩნებების მიხედვით, სხვა გარემოებებთან ერთად, არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ზემოაღნიშნულ თარიღებში წარდგენილ სარჩელებზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2009 წლის 5 ივნისის განჩნება, საქმე # 3/1455-09
2. 2009 წლის 30 ივლისის განჩნება, საქმე # 2/5865-09
3. 2010 წლის 9 თებერვლის განჩინება, საქმე # 2/739-10
4. 2010 წლის 26 ივლისს განჩნება, საქმე # 2/6990-10
5. 2011 წლის 4 აპრილის განჩინება, საქმე # 2/3237/11

5.1.4. 2009 წლის 27 ივლისს წარდგენილ სარჩელზე ადვოკატმა ა. ბ.-მ 2009 წლის 27 აგვისტოს მიმართა სასამართლოს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძლების თაობაზე; 2010 წლის 4 თებერვალს წარდგენილ სარჩელზე ადვოკატმა ა.- ბ.-მ 2010 წლის 26 მარტს და 5 მაისს განცხადებებით მიმართა სასამართლოს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძლების თაობაზე; 2011 წლის 31 მარტს წარდგენილ სარჩელზე, ადვოკატმა ა. ბ.-მ 2011 წლის 12 და 26 აპრილს მიმართა სასამართლოს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
2. 2010 წლის 7 ივნისის განჩინება, საქმე # X/XXX-XX
3. 2011 წლის 29 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX/XX

5.1.5. 2009 წლის 27 ივლისს წარდგენილ სარჩელზე - 2009 წლის 23 სექტემბერს; 2010 წლის 4 თებერვალს წარდგენილ სარჩელზე - 2010 წლის 31 მარტს და 06 მაისს; 2011 წლის 31 მარტს წარდგენილ სარჩელზე - 2011 წლის 18 აპრილის

განჩინებებით სასამართლომ გაუგრძელა მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
2. 2010 წლის 7 ივნისის განჩინება, საქმე # X/XXX-XX
3. 2011 წლის 29 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX/XX

5.1.6. 2009 წლის 23 სექტემბრის განჩნება ხარვეზის დადგენის თაობაზე ჩაბარდა ადვოკატ ა. ბ.-ს პირადად 2009 წლის 5 ნოემბერს. 2011 წლის 18 აპრილის განჩინება ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე გაეგზავნა ადვოკატ ა. ბ.-ს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინება, საქმე # X/XXXX/XX
2. 2011 წლის 18 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX/XX
3. სასამართლოს გზავნილი საქმეზე # X/XXXX/XX (1 ფურცლად)

5.1.7. 2010 წლის 4 თებერვალს წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით, ადვოკატმა ა. ბ.-მ 2010 წლის 4 ივნისს მიმართა განცხადებით სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2010 წლის 7 ივნისის განჩინება, საქმე # X/XXX-XX

5.1.8. 2009 წლის 27 ივლისს, 2010 წლის 4 თებერვალს და 2011 წლის 31 მარტს წარდგენილი სარჩელები წარმოებაში არ იქნა მიღებული. 2009 წლის 27 ივლისის და 2011 წლის 31 მარტის სარჩელთან დაკავშირებით წარმოებაში მიღების უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ხარვეზის აღმოუფხვრელობა, მათ შორის სახელმწიფო ბაჟი არ იქნა გადახდილი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
2. 2011 წლის 29 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
3. 2010 წლის 7 ივნისის განჩინება, საქმე # X/XXX-XX

5.1.9. 2010 წლის 21 ივლისის და 2011 წლის 31 აპრილის სარჩელებით, მოთხოვნილი იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2010 წლის 22 ივლისის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
2. 2011 წლის 12 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX

5.1.10. სასამართლომ 2011 წლის 31 მარტის და 2010 წლის 21 ივლისის სარჩელით მოთხოვნილი უზრუნველყოფოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებაზე დაადგინა ხარვეზი, რადგან გადახდილი არ იყო სახელმწიფო ბაჟი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2010 წლის 22 ივლისის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
2. 2011 წლის 1 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX

5.1.11 2010 წლის 21 ივლისის განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე გაეგზავნა ადვოკატ ა. ბ.-ს. 2011 წლის 31 მარტის განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე, განჩინება ჩაბარდა ადვოკატ ა. ბ.-ს 2011 წლის 5 აპრილს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. სასამართლოს გზავნილი 2010 წლის 22 ივლისის განჩინების თაობაზე
2. 2011 წლის 12 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX

5.1.12. სასამართლომ 2011 წლის 31 მარტის სარჩელით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება განუხილველად დატოვა, რადგან გადახდილი არ იყო სახელმწიფო ბაჟი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

2011 წლის 12 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX

5.1.13. ადვოკატს მარწმუნებლისაგან სანოტარო აქტით (რწმუნებულებით) მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

2010 წლის 18 მარტის რწმუნებულება, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის # 100239958, ნოტარიუსი ქეთევან გამისონია

5.1.14. სადავო უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრის 2011 წლის 18 ოქტომბრის მდგომარეობით გასხვისებულია და წამოადგენს ა. გ.-ს საკუთრებას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის საკადასტრო კოდი # XX.XX.XX.XXX.XXX

5.2. საქმეში წარმოდგენილია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.2.1 მიაწოდა თუ არა ავდოკატმა საჩივრის ავტორს ინფორმაცია და განუმარტა თუ არა, რას ნიშნავდა ხარვეზი, როგორ შეიძლებოდა მისი აღმოფხვრა, რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივე ამას სასამართლო საქმისათვის.

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ.

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია არ გააჩნდა. საჩივრის ავტორი ადვოკატ ა. ბ.-ს პერიოდულად უხდიდა თანხას. საჩივრის ავტორმა იცოდა, რომ ხარვეზის შესავსებად იყო საჭირო თანხა და ამ მიზნით გადასცემდა ადვოკატს, თუმცა, რას ნიშნავდა თავად ხარვეზი და რა ეტაპზე იყო მისი სასარჩელო განცხადება, კლიენტს ინფორმაცია არ გააჩნდა.

ბ) ადვოკატის განცხადებით, თ. თ. არ ავსებდა სასამართლოს მიერ დადგენილ ხარვეზს. ადვოკატს სასამართლოდან პირადად ჩაბარდა განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, მან იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე, თუმცა, საჩივრის ავტორმა არ შეავსო ხარვეზი.

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ თ. თ. ადვოკატს პერიოდულად უხდიდა თანხას ხარვეზისთვის, თუმცა, ადვოკატისგან ინფორმაცია რას ნიშნავდა ხარვეზი და რატომ იყო დადგენილი მის საქმესთან დაკავშირებით არ გააჩნდა.

ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს, რომ თავად ადვოკატ ა. ბ.-ის 2011 წლის 15 ნოემბრის ახსნა-განმარტებით, ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინება პირადად ჩაბარდა მას. 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე, ჩაბარდა ადვოკატ ა. ბ.-ს პირადად 2009 წლის 5 ნოემბერს, 2011 წლის 18 აპრილის

განჩინება ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე გაეგზავნა ადვოკატ ა. ბ.-ს. ასევე, სასამართლოს გზავნილით 2010 წლის 21 ივლისის განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე, გაეგზავნა ადვოკატ ა. ბ.-ს, ხოლო 2011 წლის 31 მარტის განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განჩინება ჩაბარდა ადვოკატ ა. ბ.-ს 2011 წლის 5 აპრილს.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში არსებული განჩინებების მიხედვით და მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატი ა. ბ., აწარმოებდა რა კლიენტის წარმომადგენლობას სასამართლოში, პირადად იბარებდა საქმის წარმოების პროცესში სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებებს, თუმცა, კლიენტს ინფორმაციას არ აწვდიდა აღნიშნული განჩინებების თაობაზე. კერძოდ, კლიენტს გააჩნდა ზოგადი ინფორმაცია, რომ ხარვეზი დაადგინა სასამართლომ მის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა, რას ნიშნავდა ხარვეზი, რა სამართლებრივი შედეგები უკავშირდებოდა მას, კლიენტმა არ იცოდა. კლიენტისათვის არ განუმარტავს ადვოკატს, რომ მის მიერ 5-ჯერ წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა ხარვეზი. ადვოკატს არ განუმარტავს კლიენტისათვის, რა იყო ხარვეზის დაადგენის მიზეზი, ხარვეზის შევსების კანონით გათვალისწინებული რა შესაძლებლობა არსებობდა, ადვოკატს არ უცნობებია კლიენტისათვის საბოლოოდ რა სამართლებრივი შედეგი დადგა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით. კომისია აღნიშნავს, რომ არც ერთ ეტაპზე წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით, ადვოკატს კლიენტისათვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, შესაბამისად, არავითარი განმარტება არ გაუკეთებია. შედეგად, კლიენტი ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა და მისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ინფორმაცია სასამართლო საქმის მიმიდნარეობის შესახებ. ადვოკატმა საკუთარ განმარტებაში დაადასტურა, რომ მან მომსახურების ჰონორარის სახით 150 ლარი გამოართვა კლიენტს (ადვოკატის განმარტება -პ.2.5)

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს გარემობას, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია სრულად არ მიაწოდა, კერძოდ კლიენტს ჰქონდა მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია, რომ ადვოკატი მის საქმეს სასამართლოში აწარმოებდა, თუმცა, მისთვის ადვოკატს არ განუმარტავს საქმისწარმოების ეტაპების მიხედვით თუკი არსებობდა რაიმე ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა უშუალოდ კლიენტის ჩართულობას და მონაწილეობას მოითხოვდა; კლიენტისათვის ადვოკატს არ განუმარტავს სასამართლოს განჩინებით ხარვეზის დადგენის შესახებ, რას ნიშნავდა თავად ხარვეზის არსი, როგორ შეიძლებოდა მისი აღმოფხვრა; ადვოკატის მიერ ნაწარმოები საქმეებიდან ცალსახად ჩანს, რომ მას კლიენტისაგან მიღებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, გადაცემული ჰქონდა საქმისწარმოებისათვის საჭირო მტკიცებულებები, რაც ადასტურებს კლიენტის იურიდიულ ინტერესს ადვოკატისათვის მინდობილი საქმისწარმოების შედეგისადმი. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ

გარემოებაზეც, რომ ადვოკატი არც ადასტურებს და არც უარყოფს კლიენტის მიერ მისთვის სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად თანხის გადაცემას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება, 2012 წლის იანვარი
2. ა. ბ.-ის ახსნა-განმარტება, 2011 წლის 15 ნოემბერი, საქმის ფურცელი 20
3. სასამართლოს გზავნილი 2010 წლის 22 ივლისის განჩინების თაობაზე
4. 2011 წლის 12 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
5. 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
6. 2011 წლის 18 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX/XX
7. სასამართლოს გზავნილი საქმეზე # X/XXXX/XX (1 ფურცლად)

5.2.2. სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადახდის თაობაზე უნდა შეევსო ადვოკატ ა. ბ.-ს.

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ.

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ადვოკატ ა. ბ.-ს უხდიდა თანხას ხარვეზის შესავსებად.

ბ) ადვოკატის განმარტებით, იგი მან არაერთხელ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამო საპროცესო ვადის გაგრძელებისათვის , თუმცა, საჩივრის ავტორი არ ავსებდა ხარვეზს.

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ რწმუნებულების მიხედვით ადვოკატ ა. ბ.-ს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება კლიენტის სახელით განეხორციელებინა საპროცესო მოქმედებები, შეევსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი და გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი. ამასთან, სასამართლოს მიერ 2009 წლის 23 სექტემბრის, 2011 წლის 18 აპრილის, 2010 წლის 21 ივლისის და 2011 წლის 31 მარტის ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინებები სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით პირადად ბარდებოდა ადვოკატ ა. ბ.-ს. ეთიკის კომისია დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ადვოკატი კლიენტს არ აწვდიდა ინფორმაციას ხარვეზის დადგენის თაობაზე. ადვოკატმა 5-ჯერ წარადგინა სარჩელი სასამართლოში, თუმცა, სარჩელები წარმოებაში არ იქნა მიღებული, რაც სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობით იყო გამოწვეული. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატი ა. ბ. კლიენტს თანხას ხარვეზის შესავსებად ართმევდა, თუმცა, საბოლოოდ ადვოკატი არ ავსებდა სასამართლოს მიერ დადგენილ ხარვეზს და შესაძლოა, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ კლიენტს საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ინფორმაციას სრულყოფილად არ აძლევდა და არ განუმარტავდა საქმისწარმოებისათვის მნიშვნელოვან კონკრეტულ საკითხებს.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს გააჩნდა ვალდებულება, კლიენტისაგან გადაცემული თანხით გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი და შეევსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2010 წლის 18 მარტის რწმუნებულება, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის # 100239958, ნოტარიუსი ქეთევან გამისონია
2. თ. თ.-ის ახსნა-განმარტება, 2012 წლის იანვარი, საქმის ფურცელი 157-158
3. ა. ბ.-ის ახსნა-განმარტება, 2011 წლის 15 ნოემბერი, საქმის ფურცელი 20
4. სასამართლოს გზავნილი 2010 წლის 22 ივლისის განჩინების თაობაზე
5. 2011 წლის 12 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
6. 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
7. 2011 წლის 18 აპრილის განჩინება, საქმე # X/XXXX-XX
8. სასამართლოს გზავნილი საქმეზე # X/XXXX-XX (1 ფურცლად)

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ დარღვეული იქნა შემდეგი ნორმები:

ა) ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე" პუნქტი, რომლის მიხედვით „ადვოკატი ვალდებულია, შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები."

ბ) ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

გ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა".

დ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვით, ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს

ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

7.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულებები სათანადოდ დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ა. ბ.-ს მხარეებს შორის გაფორმებული რწმუნებულებისა და ზეპირი დავალების ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნდა ვალდებულება, დაეცვა და წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოში.

7.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით საქმეზე # 074/10 განმარტა, რომ „კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა კანონმდებლობით გამონაკლისის სახით დადგენილი საპროცესო მოქმედებებისა.“

7.4 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე, ადვოკატ ა. ბ.-ს უნდა ემოქმედა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, იმისათვის რომ სარჩელი წარმოებაში მიეღო სასამართლოს. საქმეში არსებული საპროცესო დოკუმენტების - სარჩელებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებების მიხედვით კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა არაერთხელ წარადგინა სარჩელები კლიენტის საქმესთან დაკავშირებით. 2009 წლის 3 ივნისს, შემდეგ 2009 წლის 27 ივლისს, მოგვიანებით - 2010 წლის 4 თებერვალს, შემდეგში - 2010 წლის 21 ივლისს და 2011 წლის 31 მარტს შეტანილ ყველა სარჩელთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა ხარვეზი, რაც სხვა გარემოებებთან ერთად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობითაც იყო გამოწვეული. ადვოკატი ძირითადად შუამდგომლობდა სასამართლოში ხარვეზის ვადის გაგრძელების თაობაზე და სასამართლო არაერთგზის აკმაყოფილებდა მის შუამდგომლობებს, თუმცა, საბოლოოდ, სახელმწიფო ბაჟი არ იქნა გადახდილი და, შესაბამისად, სასამართლომ სარჩელები წარმოებაში არ მიიღო.

7.5 ეთიკის კომისია არ იზიარებს, ადვოკატის პოზიციას, რომ კლიენტი არ ავსებდა სარჩელებზე ხარვეზს, კერძოდ, არ იხდიდა სახელმწიფო ბაჟს. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს ევალებოდა, რომ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეესრულებინა ვალდებულებები კლიენტის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ადვოკატს რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გააჩნდა ვალდებულება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით შეევსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი და კლიენტის სახელით გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი. კლიენტის განმარტებით, იგი ადვოკატ ა.

ბ.-ს პერიოდულად, ადვოკატის მოთხოვნისთანავე უხდიდა თანხას ხარვეზის შესავსებად, რაც კომისიას უქმნის იმის რწმენას, რომ ადვოკატს, გარდა რწმუნებულებაში მინიჭებული უფლებამოსილებისა, რეალურად ჰქონდა კლიენტისაგან გადაცემული შესაბამისი თანხა და ვალდებული იყო, გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი და აღმოეფხვრა ხარვეზი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საქმის საბოლოოდ დასრულებამდე გააჩნდა და თავად ადვოკატის განცხადება, რომ „ის დღესაც მზადაა ემსახუროს თ. თ.-ს და საქმე ბოლომდე მიიყვანოს“ ადასტურებს, რომ ადვოკატი თავად აღიარებს, რომ კლიენტის საქმე ბოლომდე არ მიუყვანია და შესაბამისად, წარმომადგენლობა სათანადოდ არ განუხორციელებია. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატი კლიენტის ეფექტური დაცვის ნაცვლად ახორციელებდა გაჭიანურებულ საქმისწარმოებას, რომელსაც კლიენტისთვის შედეგი არ ექნებოდა და ამის თაობაზე ადვოკატისთვის თავიდანვე ცნობილი იყო. კერძოდ, რამდენჯერმე, 2009 წლიდან-2011 წლის ჩათვლით წარადგენდა სარჩელებს სასამართლოში, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში კი მიმართავდა სასამართლოს განცხადებებით ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის გაგრძელების თაობაზე, რასაც ადვოკატი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით წარმომადგენლობის განხორციელებად მიიჩნევს. კომისია აღნიშნავს, რომ კლიენტის ინტერესების დაცვად არ მიიჩნევა მუდმივად არასრულყოფილი სარჩელების შეტანა და შემდეგ განცხადებების წარდგენა სასამართლოში ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს ევალება, იმოქმედოს კანონმდებლობის ფარგლებში, რაც კლიენტის საქმესთან დაკავშირებით საპროცესო დოკუმენტების სრულყოფილად მომზადებასა და საქმის მიმდინარეობის მომდევნო ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მტკიცებულებების წადგენას მოიცავს.

7.6 კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ა. ბ. ხშირ შემთხვევაში მოპასუხის მონაცემებსაც არ უთითებდა წარდგენილ სარჩელებში, რაც 2009 წლის 5 ივნისის და 2009 წლის 30 ივლისის განჩინებების მიხედვით სარჩელზე ხარვეზის დადგენის საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, ადვოკატმა სამი წლის განმავლობაში ერთი და იგივე სარჩელი 5 ჯერ წარდგენა სასამართლოში, თუმცა არც ერთი სარჩელი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო და კლიენტის ინტერესი მნიშვნელოვნად დაზარალდა, მიწის ნაკვეთი გასხვისდა სხვა პიროვნებაზე. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატი ფორმალურად ახორციელებდა წარმომადგენლობას სასამართლოში, რაც დაცვის უფლების არაჯეროვან განხორციელებას წარმოადგენს. ამასთან, ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქმედება სასამართლოსთან დამოკიდებულებაშიც გამოვლინდა, ადვოკატი სამი წლის განმავლობაში ერთი და იგივე განცხადებით მიმართავდა სასამართლოს, მოგვიანებით კი ან თვითონვე გამოიხმობდა განცხადებებს, ან აღარ ავსებდა სასამართლოს მიერ დადგენილ ხარვეზს, რაც სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

7.7 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ საქმე ეხებოდა უძრავ ქონებას და ამ შემთხვევაში ადვოკატმა მხოლოდ 2010 წლის 21 ივლისს და 2011 წლის 31 მარტს წარადგინა განცხადება უძრავ ქონებზე ყადაღის დადების თაობაზე. თუმცა, საბოლოოდ ქონებას არ დაედო ყადაღა, რადგან სახელმწიფო ბაჟი არ იქნა გადახდილი და სასამართლომ ამ მიზეზით განუხილველად დატოვა განცხადება. ამასთან, როგორც ხარვეზის დადგენის თაობაზე, ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაგრძელების თაობაზე, საასამართლოს განჩინებები პირადად ბარდებოდა ადვოკატ ა. ბ.-ს და მას რწმუნებულებით გააჩნდა უფლებამოსილება, შეევსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, რაც არ განახორციელა და მნიშვნელოვნად დააზარალა კლიეტნის ინტერესები, სადავო მიწის ნაკვეთი გასხვისდა სხვა პირზე.

7.8 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის, საქმე #066/10 გადაწყვეტილების თანახმად, “ ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისათვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება.“ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით „ადვოკატთა შესახებ“ არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.. „

7.9 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ არასათანადო წარმომადეგნლობის განხორციელებასთან პირდაპირ კავშირშია კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საქმის მიმდიანარეობის თაობაზე. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს გააჩნდა ვალდებულება მიეწოდებინა სრული ინფორმაცია და ჯეროვანი განმარტება კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტის ინფორმირებულობა უმნიშვნელოვანესია ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობისათვის, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები, ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება პირდაპირ კავშირში არის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულებასთან.

7.10 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს პირადად ეგზავნებოდა და ბარდებოდა განჩინებები ხარვეზის დადგენის თაობაზე, ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე, რაც მიუთითებს, იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატი თავად აწარმოებდა კლიენტის საქმეს.ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მართალია, ადვოკატი კლიენტს თანხას ხარვეზის შესავსებად ართმევდა, თუმცა, ადვოკატს არ მიუწოდებია კლიენტისათვის სრულად ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომ ხარვეზის შესავსებად ესაჭიროებოდა თანხა, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ჯეროვან განმარტებად და ინფორმაციის სრულად მიწოდებად. ადვოკატს გააჩნდა ვალდებულება სათანადოდ, კლიენტისათვის გასაგებ ენაზე განემარტა, რატომ დაადგინა სასამართლომ მის საქმესთან დაკავშირებით ხარვეზი, იმ შემთხვევაში თუ ხარვეზის აღმოფხვრა არ მოხდებოდა, რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა სარჩელს და სრულად მიეწოდებინა ინფორმაცია მის საქმესთან დაკავშირებით,

7.11 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე # 074/10 დაადგინა, რომ „კომისია მიიჩნევს, რომ საქმის მსვლელობის თაობაზე ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაც უთუოდ გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად“.

7.12 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ ადვოკატს არ განუმარტავს ეთიკის კომისიისათვის, გააჩნდა თუ არა კლინტისაგან ინფორმირებული თანხმობა, როდესაც სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისს მიმართა სარჩელის უკან გახმობასთან დაკავშირებით. კომისია აღნიშნავს, რომ რწმუნებულებაში ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილება ადვოკატს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან კლიენტის საქმის მიმდინარეობის თაობაზე, შემდეგი ქმედებების განხორციელებისათვის ნებართვა მიიღოს კლიენტისაგან, თუნდაც რწმუნებულებით კლიენტს თავის დროზე გაცემული ჰქონდეს თანხმობა სარჩელის უკან გამოხმობის თაობაზე, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის/შემცირების და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილი რწმუნებულისათვის გადაცემული სხვა უფლებამოსილებების თაობაზე.

7.13 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ სამი წლის განმავლობაში კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია არ გააჩნდა, თუმცა, კლიენტს ჰქონდა მოლოდინი და იურიდიული ინტერესი, რომ ადვოკატი მის საქმეს ბოლომდე მიიყვანდა და სავარაუდოდ, მისი სასარგებლო შედეგი დადგებოდა საქმეზე. ამ მიზეზით კლიენტი, მის ამჟამინდელ წარმომადგენელს, რომელიც ამავდროულად სიძეა, ო. ნ.-ს არ უმხელდა, რომ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული პრობლემა ამ ხნის განმავლობაში მოუგვარებელი ჰქონდა.

7.14 კომისია აღნიშნავს, რომ კლიენტს საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის არსებობისას შესაძლოა მიემართა კანონით გათვალისწინებული ზომებისათვის: მოეთხოვა ადვოკატისათვის სათანადო ქმედებების განხორციელება ან სხვა ადვოკატის მომსახურებით ესარგებლა და არ დაზარალდებოდა საბოლოოდ მისი ინტერესი სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით დროული მოქმედების განხორციელებით. დღეის მდგომარეობით უკვე გასხვისებულია კლიენტის ქონება, რაცართულებს სამომავლოდ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დავის წარმოების შესაძლებლობას, რაც ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობისა და წარმომადგენლობის ფორმალურად, არასათანადოდ და არაკეთილსინდისიერად განხორციელებაში გამოიხატა.

7.15 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში MAĐER v. CROATIA (განაცხადის № 56185/07, 2011 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება), სადაც ადვოკატი, კლიენტის განცხადებით ქმედითი დაცვის განსახორციელებლად სათანადოდ არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს, სხვა საკითხებთან ერთად, იმსჯელა ადვოკატის მიერ ვალდებულებების არასათანადო შესრულებაზე, რაც სასამართლომ დაცვის უფლების დარღვევად შეაფასა.

III სარეზოლუციო ნაწილი:

კომისიამ იხელმძღვანელა ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, “ადვოკატთა შესახებ” კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე” პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის, ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19 და მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით, და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ /სიითი #/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. # 32) მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: კახაბერ წერეთელი

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი:	ლავრენტი ქავთარაძე
კომისიის წევრი:	დათუნა მოდებაძე
კომისიის წევრი:	კობა ბოჭორიშვილი
კომისიის წევრი:	ზურაბ ძლიერიშვილი